ხელშეკრულება

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა"

და

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს"

შორის

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე

ქ. თბილისი
2014 წ.

წინამდებარე წილის მართვის ხელშეკრულება (შემდგომში, „ხელშეკრულება“) იდება ქ. თბილისში, 2014 წლის 3 ნოემბერს.

ერთი მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" (შემდგომში, „მესაკუთრე“), წარმოდგენილი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, დიმიტრი ქუმსიშვილის (პ/№01020009589) სახით,

მეორე მხრივ, **„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო" (შემდგომში, „მმართველი პირი“)** წარმოდგენილი „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს" მინისტრის მოადგილის, ვალერი კვარაცხელიას (პ/№ 01007005857) სახით, მოქმედი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 ოქტომბრის №01-264/ო ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები",

ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების პრივატიზების ცალკეული ფორმების განსაზღვრისა და საწარმოთა მართვის სააგენტოდან სხვა სუბიექტებისათვის მათი მართვის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №1-1/1596 ბრძანებით, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის №1830 განკარგულებით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში, „ხელშეკრულება“):

მუხლი 1. ტერმინების განმარტება

1.1. ქვემოთ მოცემული ტერმინები წარმოადგენს წინამდებარე „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და განიმარტება შემდეგნაირად:
ა) ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება და მისი ყველა დანართი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების გათვალისწინებით;
ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა – ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 5 (ხუთი) წელი ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე;
გ) საწარმო - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/№236035517), (საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის 100%;
დ) სამეწარმეო რეესტრი - სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „მესაკუთრე" მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უსასყიდლოდ გადასცემს, ხოლო „მმართველი პირი" მართვის უფლებით იღებს „საწარმოს".
2.2. „მმართველ პირს" „საწარმო" მართვის უფლებით გადაეცემა „ხელშეკრულების" გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლით.

2.3. „მმართველი პირი" ვალდებულია განახორციელოს გადაცემული „საწარმოს" მართვა „ხელშეკრულებით" მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
2.4. „საწარმოს" მართვის უფლება „მმართველ პირზე" გადადის წინამდებარე „ხელშეკრულების" ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 3. „მმართველი პირის" უფლება-მოვალეობანი

3.1. „მმართველი პირი" ვალდებულია:
ა) განახორციელოს „საწარმოს" პარტნიორის უფლება-მოვალეობები „საწარმოს" წესდების, ამ ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
ბ) ყველა ღონე იხმაროს რათა დაიცვას „საწარმოს" ინტერესები.
გ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გადაცემული მართვის უფლების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში, არაუგვიანეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) დღის ვადაში.
დ) სრულად და დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
3.2. „მმართველ პირს" უფლება არ აქვს გაასხვისოს მართვის უფლებით გადაცემული „საწარმო". „მმართველ პირს" „საწარმოს" საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების გასხვისების უფლება აქვს მხოლოდ „მესაკუთრის" წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
3.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში „მმართველ პირს" „მესაკუთრესთან" შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება:
ა) მიიღოს გადაწყვეტილება „საწარმოს" ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის თაობაზე.
ბ) განკარგოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს მართვის უფლებით გადაცემული „საწარმო", ასევე „საწარმოს" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება;
3.4. „მმართველი პირი" უფლებამოსილია „მესაკუთრის" თანხმობის გარეშე, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, განახორციელოს „საწარმოს" წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული „საწარმოს" პარტნიორის ყველა უფლებამოსილება. მათ შორის მიიღოს გადაწყვეტილებები შემდეგ საკითხებზე:
ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და/ან მათი შეწყვეტა;
ბ) „საწარმოს" სარეგისტრაციო განაცხადის მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;
გ) „საწარმოს" წესდების შემუშავება, დამტკიცება, არსებული წესდების გაუქმება, ცვლილებების/დამატებების შეტანა წესდებაში;
ე) „საწარმოს" ანგარიშგების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) და წლიური ბიუჯეტის (ბიზნეს გეგმის) პროექტის განხილვა და დამტკიცება;
ვ) დირექტორის/დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება
ზ) დირექტორის ანგარიშების დამტკიცება;
თ) წლიური შედეგების დამტკიცება;
ი) აუდიტის არჩევა;
კ „საწარმოს" წმინდა მოგების განაწილება;
ლ) ფილიალების და შვილობილი საწარმოების შექმნა და/ან ლიკვიდაცია;
მ) წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა საკითხებზე, გარდა ამ ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისებისა.
3.5. „მმართველ პირს" უფლება არა აქვს „მესაკუთრესთან" შეთანხმების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება „საწარმოს" კაპიტალიდან ქონების ამოღებისა და მის ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვის ან უფლებრივად დატვირთვის თაობაზე.
3.6. „მმართველი პირი" უფლებამოსილია მოითხოვოს „მესაკუთრისგან" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.
3.7. „მმართველი პირი" ვალდებულია „მესაკუთრის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოთხოვნის ჩაბარებიდან 30

(ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში აცნობოს „მესაკუთრეს" და წარუდგინოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი

4.1. „მესაკუთრე" ვალდებულია დაიცვას „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები.
4.2. „მესაკუთრე" ადასტურებს, რომ ის თანახმაა, „მმართველმა პირმა" ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში „მესაკუთრესთან" დამატებითი შეთანხმების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილებები „საწარმოს" კაპიტალში სახელმწიფო ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, ასევე ფულადი შენატანის (შენატანების) განხორციელების თაობაზე.
4.3. „მესაკუთრეს" უფლება აქვს მოითხოვოს „მმართველი პირისაგან" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.
4.4. წინამდებარე „ხელშეკრულების" 3.2, 3.3 და/ან 3.5 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე „მესაკუთრემ" თანხმობა ან უარი უნდა გასცეს წერილობითი ფორმით, მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, მითითებულ ვადაში წერილობითი ფორმით პასუხის გაუცემლობა მიიჩნევა თანხმობის გაცემაზე უარად.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში „მმართველი პირი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა.
5.2. „მმართველი პირის" ვალდებულების დამატებით ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში „მესაკუთრეს" უფლება აქვს ხელშეკრულება მოშალოს ცალმხრივად. ასეთ შემთხვევაში, „საწარმოს" მართვის უფლება უბრუნდება „მესაკუთრეს" და სამეწარმეო რეესტრში უქმდება „მმართველი პირის" მართვის უფლების რეგისტრაცია.
5.3. „ხელშეკრულება" შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რის შესახებაც ინიციატორი მხარე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე 3 (სამი) თვით ადრე. ეს ვადა არ გამოიყენება, როცა მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების შეწყვეტაზე აღნიშნული ვადის დაუცველად.

მუხლი 6. დაუძლეველი ძალა/მოვლენა

6.1. ამ „ხელშეკრულების" მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა და დაუძლეველი ძალის გარემოება" ნებისმიერ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს ისეთ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც ასეთი მხარის კონტროლის ფარგლებს მიღმაა და რომელიც, მიუხედავად მხარის ყველა გონივრული მცდელობისა მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული ან მოგვარებული და რომელიც გადაიზრდება ან გამოიწვევს ასეთი „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. „ხელშეკრულების" მიზნებისათვის „დაუძლეველ ძალას ან დაუძლეველი ძალის გარემოებას" მიეკუთვნება:
ა) ომი, სამხედრო მოქმედება, რეკვიზიცია, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგო;
ბ) აჯანყება, საგანგებო მდგომარეობა, ან სამოქალაქო ომი;
გ) ამბოხი, სახალხო დაუმორჩილებლობა, საზოგადოებრივი მღელვარება ან საბოტაჟი;
დ) ტერორისტული აქტები;
ე) ელვა, ხანძარი, აფეთქება, ქარიშხალი, ქარი, წყალდიდობა, მოქცევითი ტალღა, მიწისძვრა, გრიგალი ან სხვა ბუნების დაუძლეველი ძალები და სხვა სტიქიური მოვლენები;
ვ) კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები/დამატებები;
6.2. თითოეული მხარეს ეპატიება მის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება და არ მოეთხოვება პასუხი თავისი

ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების თანახმად, დაუძლეველი ძალის გარემოებების დროს ან მათგან გამომდინარე დამდგარი შედეგების გამო.
6.3. დაუძლეველი ძალის დროს მხარემ, რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების არსებობის დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები. ამასთან მხარეებმა უნდა:
ა) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა რათა თავიდან აიცილონ, შეამცირონ ან შეასუსტონ დაუძლეველი ძალის გარემოებით გამოწვეული შედეგები;
ბ) გამოიყენონ მთელი ძალისხმევა რათა უზრუნველყონ ხელშეკრულების პირობების ჩვეულებრივ რეჟიმში შესრულება დაუძლეველი ძალის ნებისმიერი გარემოების შეწყვეტის შემდეგ და უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი ორივე მხარისათვის;
გ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

მუხლი 7. შეტყობინებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მხარეები ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ საკითხზე ერთმანეთში კორესპონდენციას (წერილებს) გაცვლიან შეტყობინებების მეშვეობით. შეტყობინების ფორმა წერილობითია, რომელიც მხარეებს გადაეცემა:
ა) დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;
ბ) პირადად;
გ) დაზღვეული ფოსტით ან კურიერის მეშვეობით.
7.2. შეტყობინებების შედგენის მეთოდი შემდეგია: შეტყობინება ხელმოწერილ უნდა იქნეს შესაბამისი მხარის უფლებამოსილი პირის მიერ, იგი მიმართული უნდა იყოს იმ მხარის უფლებამოსილი პირისადმი, რომელსაც ეს შეტყობინება უნდა გადაეცეს და მიწოდებული უნდა იქნეს ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, რომელიც მოცემულმა მხარემ შეატყობინა მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების თანახმად.
7.3. შეტყობინებები მხარეებს მიეწოდებათ მათი რეგისტრირებული მისამართის ან\და საქმიანობის ადგილის მიხედვით.
7.4. შეტყობინება პირადად გადაცემულად ითვლება მისი მხოლოდ ხელიდან ხელში გადაცემისა და შეტყობინების მეორე ასლზე მიმღების ხელმოწერის შემთხვევაში, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.
7.5. შეტყობინება, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს ჩაითვლება ბათილად და მას არ გააჩნია იურიდიული ძალა. შეტყობინება, რომელიც არ იყო მიწოდებული ამ მუხლის თანახმად არ ითვლება გაგზავნილად.
7.6. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის მხარეთა რეკვიზიტებია:
„მესაკუთრის“ შემთხვევაში:
მიმღები: სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
მისამართი: ჭანტურიას ქ. №12, თბილისი, საქართველო;
ტელ: 995 32 2991105; 995 32 2991111
„მმართველი პირის“ შემთხვევაში:
მიმღები: „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“
მისამართი: აკაწერეთლის გამზ. №144 თბილისი, საქართველო;
ტელ: (+995 32) 2510033

მუხლი 8. უფლებამონაცვლეები

მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების დებულებები, ისევე როგორც ამ დებულებებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებება-მოვალეობები სრულად ვრცელდება მათ ნებისმიერ უფლებამონაცვლეზე.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკებების გზით.
9.3. სადავო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 10. სხვა დებულებანი

10.1. სათაურები ,,ხელშეკრულებაში" მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და მათ ხელშეკრულების პირობების განმარტების დროს მნიშვნელობა არ ენიჭებათ.
10.2. ხელშეკრულების რომელიმე დებულების გაუქმება/ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების გაუქმებას/ბათილობას.
10.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერ ცვლილების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც ფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება, მისთვის გამოყენებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული ფორმა და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
10.4. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისა და მართვის უფლების „სამეწარმეო რეესტრში" რეგისტრაციის დღიდან.
10.5. წინამდებარე „ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლიარი წარედგინება „სამეწარმეო რეესტრს", ხოლო თითო-თითო გადაეცემა ,,მესაკუთრესა" და „მმართველ პირს".

„მესაკუთრე"
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
წარმომადგენელი:
დიმიტრი ქუმსიშვილი

„მმართველი პირი"
„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო"
წარმომადგენელი:
ვალერი კვარაცხელია

გადახდის ნომერი: **EN814635**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B14110083**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 05/11/2014 12:16:47
განცხადების ნომერი: 814635
განცხადების მიღების დრო: 05/11/2014 12:15:00

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ალექსანდრე თორია/62001037412/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

საიდენტიფიკაციო კოდი: **236035517**

თანდართული დოკუმენტაცია:

- წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საქართველოს მთავრობის განკარგულება ბრძანება ხელშეკრულება

მომსახურება: 1 სამუშაო დღის ვადაში 0 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14110083, 06/11/2014 14:59:45

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	236035517
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	46/4-65; 23/12/1999
მარეგისტრირებელი ორგანო:	მცხეთის რაიონის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ივ.ჯავახიშვილის ქ., №51
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	Llc.rhcc@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01008008307, ნუგზარ ბოლქვაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	**წილი**	**წილის მმართველი**
203840433, სახელმწიფო	100.00000000%	211333957, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო(100%)

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge